

საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები.

(ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი) I,II სემესტრი. 2017-2018 წელი

(I შუალედური ტესტირების ნიმუში)

Question 1

მონაცემთა განზოგადება ბალანსში და სხვა ფორმებში გულისხმობს:

Select one:

- a. საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის ბალანსში ასახვას საანგარიშო პერიოდის ბოლოს
- b. ორმაგ ჩაწერას
- c. დროში უწყვეტობას

Question 2

საბუღალტრო სამსახურის (ბუღალტერიის) ფუნქციებში შედის:

Select one:

- a. ორივე პასუხი სწორია
- b. საბუღალტრო აღრიცხვის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა; კონტროლი სახსრების სწორად და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე
- c. ხელფასების, პრემიებისა და სხვა გასაცემი თანხების თავისდროული დარიცხვა და გაცემა; ბუღალტრული დოკუმენტების, აღრიცხვის რეგისტრების, ხარჯთანუსხების და სხვა საბუთების შენახვა დადგენილი წესით

Question 3

ძირითად აქტივებს ანუ ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება:

Select one:

- a. ორივე პასუხი სწორია
- b. მიწის ნაკვეთები; შენობა-ნაგებობანი; მანქანადანადგარები; სატრანსპორტო საშუალებები; ოფისის აღჭურვილობა.
- c. ისეთი აქტივები, რომლებიც საწარმოს მიერ გამოიყენება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ისინი წარმოების საშუალებებია, რომელთა მეშვეობით შეიძლება ვაწარმოოთ პროდუქცია, გავწიოთ მომსახურება, მოვახდინოთ საქონლის რეალიზაცია.

Question 4

აქტივები წარმოების პროცესში მათი ფუნქციური და ეკონომიკური დანიშნულების, ბრუნვალობის სიჩქარის მიხედვით იყოფა:

Select one:

- a. კაპიტალად და ვალდებულებებად
- b. მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად
- c. ძირითად და საბრუნავ აქტივებად

Question 5

მოთხოვნა თავისი ეკონომიკური შინაარსით არის:

Select one:

- a. საწარმოს დავალიანება სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ
- b. საწარმოს მიერ წინასწარ მიღებული თანხები

c. მყიდველების დავალიანება მოცემული საწარმოს მიმართ, მათზე მიწოდებული საქონლისა და პროდუქციისათვის

Question 6

ვალდებულება თავისი ეკონომიკური შინაარსით არის:

Select one:

- a. კაპიტალის შევსება
- b. დავალიანება სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების წინაშე, მათგან მიწოდებული პროდუქციის, საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურებისათვის
- c. კლიენტების დავალიანება საწარმოს მიმართ

Question 7

როგორ ჯგუფდება ბუღალტრულ ბალანსში აქტივები და ვალდებულებები?

Select one:

- a. მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად
- b. მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად და ვალდებულებებად
- c. ძირითად და საბრუნავ აქტივებად და ვალდებულებებად

Question 8

რა არის კალკულაცია?

Select one:

- a. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომელიც გულისხმობს გამოშვებული პროდუქციის მოცულობის განსაზღვრას ფულად გამოსახულებაში
- b. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომელიც გულისხმობს გამოშვებული პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების განსაზღვრას
- c. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომელიც გულისხმობს რეალიზებული პროდუქციის მოცულობის განსაზღვრას ფულად გამოსახულებაში

Question 9

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ელემენტებია

Select one:

- a. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- b. პირველადი დაკვირვება, ღირებულებითი გაზომვა, ბალანსირება, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა სისტემა და ორმაგი ჩაწერა.
- c. აღქმადობა, შესაბამისობა, შესადარისობა, სიზუსტე

Question 10

ფინანსური ანგარიშგება არის:

Select one:

- a. ანგარიშები, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ოპერაციებს ასახავენ
- b. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომლითაც მიიღწევა ნაშთების დაზუსტება
- c. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების შესახებ სრული სურათი.

Question 11

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია:

Select one:

- a. შემოსავლები და ხარჯები.
- b. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი;
- c. ბალანსი, ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ, ანგარიშგება ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ

Question 12

ბუღალტრული ბალანსის ელემენტებია:

Select one:

- a. ვალდებულებები, მოგება-ზარალი
- b. შემოსავლები და ხარჯები
- c. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი

Question 13

სააღრიცხვო პოლიტიკას საფუძვლად უდევს ბასს-ით განსაზღვრული ძირითადი დაშვება:

Select one:

- a. ანგარიშგების სამართლიანად შედგენა
- b. შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე
- c. დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო

Question 14

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება და კოოპერატივი:

Select one:

- a. არ არიან იურიდიული პირები.
- b. ინდივიდუალური მეწარმე და სააქციო საზოგადოება არის ფიზიკური პირი.
- c. არიან იურიდიული პირები.

Question 15

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანგარიშები ჯგუფდება:

Select one:

- a. ვალდებულებებისა და კაპიტალის ამსახველ ანგარიშებად
- b. აქტივების ამსახველ ანგარიშებად
- c. ორივე პასუხის წორია

Question 16

სტრუქტურის მიხედვით აგარიშები იყოფა:

Select one:

- a. პასიურ ანგარიშებად
- b. ორივე პასუხი სწორია
- c. აქტიურ ანგარიშებად

Question 17

ანგარიშებში ასახული ობიექტის განზოგადების მოცულობის მიხედვით ანგარიშები იყოფა:

Select one:

- a. საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშებად
- b. სინთეზურ და ანალიზურ ანგარიშებად.
- c. მუდმივ და დროებით ანგარიშებად

Question 18

აქტიურ ანგარიშზე საბოლოო ნაშთი, რომ გამოვიყვანოთ ვიქცევით შემდეგნაირად:

Select one:

- a. საწყის ნაშთს ვუმატებთ დებეტის ბრუნვას, ვაკლებთ კრედიტის ბრუნვას და ვწერთ დებეტში.
- b. საწყის ნაშთს ვაკლებთ დებეტის ბრუნვას და ვუმატებთ კრედიტის ბრუნვას
- c. საწყის ნაშთს ვუმატებთ კრედიტის ბრუნვას, ვაკლებთ დებეტის ბრუნვას და ვწერთ დებეტში.

Question 19

საბალანსო ანგარიშებს მიეკუთვნება:

Select one:

- a. გადასამუშავებლად მიღებული მასალებისა და საპასუხისმგებლო შესანახად მიღებული მატერიალური ფასეულობების ამსახველი ანგარიშები
- b. ძირითადი საშუალებებისა და ვალდებულებების ამსახველი ანგარიშები
- c. მატერიალური ფასეულობებისა და იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების ამსახველი ანგარიშები

Question 20

პასიურ ანგარიშზე საბოლოო ნაშთი, რომ გამოვიყვანოთ ვიქცევით შემდეგნაირად:

Select one:

- a. დებეტის საწყის ნაშთს ვუმატებთ კრედიტის ბრუნვას, ვაკლებთ დებეტის ბრუნვას და ვწერთ კრედიტში.
- b. არც ერთი პასუხი არ არის სწორი
- c. კრედიტის საწყის ნაშთს ვუმატებთ კრედიტის ბრუნვას, ვაკლებთ დებეტის ბრუნვას და ვწერთ კრედიტში